ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი თუმანიშვილი

M72052
3

ფლამენკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიფარა იწყებს მწუხარე ქვითინს,
იმსხვრევა დილა, გიფარა მღერის!
გიფარა იწყებს მწუხარე ქვითინს,
ო, მდუმარებას მისგან ნუ ელი,
ო, მდუმარებას მისგან ნუ ითხოვ,
შეუსვენებლად გიფარა ფიქრის.
ის დაბზარული წყალივით ფიქრის
ის თოვლიანი ქარივით ფიქრის,
ო, მდუმარებას მისგან ნუ ითხოვ,
ო, მდუმარებას მისგან ნუ ელი...
ასე შესცქერის შუაღამე ნათელ განთიადს,
ისარი, მიზანს აცდენილი, ქვითინებს ასე,
ასე მისფიქრის სასოებით მცხუნვარე ქვიშა,
ჯამლიების ციე სილამაზეს,
ასეთი ვნებით ითხოვება სიცოცხლეს ჩიფი,
რომელსაც გულის შსამიანი ისარი ელის...
ო, ეს გიფარა დასერილი,
სუთი წყალით ჯალათის ხელით.

ოქტომბერი გარსია ლორკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებული შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო
გივი თუშიშვილმა

ფლამენკო

(ესპანური ხალხური მელოდიები)

„მუსიკა წააგავს ოკეანეს, სოლო მუსიკალური ინსტრუმენტები
შიგ მიმობნეულ კუნძულებს, ჩემი კუნძული გიტარაა...“
ანდრეს სეგოვია

თბილისი
შპს მუსიკალური ფონდის გამომცემლობა
2003

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია ესპანური ხალხური მუსიკის – ფლამენკოს სანოტო ნიმუშები და სახელგანთქმული ესპანელი გიტარისტის პაკო დე ლუსიას კომპოზიციები.

კრებული განკუთვნილია როგორც სამუსიკო სკოლების პედაგოგებისა და მოსწავლეების, ასევე, გიტარის მოყვარულთა ფართო წრისათვის.

© გივი თუშიშვილი

ფლამენკო, შპს მუს. ფონდის გამომცემლობა

2003

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

ფლამენკო – ეს სიტყვა შეიძლება შეგვხვდეს მსოფლიოს მრავალი ქალაქის საკონცერტო აფიშებზე. იგი ესპანეთის მშვენებაა, ისევე როგორც ნოტრდამი პარიზისა ან კოლიზიუმი რომისა, თუმცა მათგან განსხვავებით ფლამენკო ქვაში აღბეჭდილი ხელოვნება კი არ არის, არამედ ანდალუზიის უძველესი და მარად ცოცხალი შემოქმედებაა, გამოხატული მგზნებარე სიმღერითა და ცეცხლოვანი ცეკვით.

სიტყვა ფლამენკოს ეტიმოლოგია ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დაზუსტებული. მის ირგვლივ არსებობს მრავალი ჰიპოთეზა. ზოგნი ვარაუდობენ, რომ იგი წარმომდგარია სიტყვიდან „ფლამანკები“ – ასე უწოდებდნენ ესპანელები ფლამანდიელებს, რომლებიც პირინეის ნახევარკუნძულზე დასახლდნენ ესპანეთის მეფის კარლოს პირველის მეფობის დროს. ფლამანდიელებმა მალე მაღალი პოსტები დაიკავეს, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. იმავე პერიოდში ესპანეთში ჩამოსახლდნენ ცენტრალური და ჩრდილო ევროპიდან გამოძევებული ბოშათა ბანაკები. ესპანელები არც ბოშების მიმართ იყვნენ სიმპათიით განწყობილნი, მით უფრო, რომ ბოშები და ფლამანკები შეთანხმებულად ცხოვრობდნენ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ესპანელები უცხოელთა მიმართ ანტიპათიას გამოხატავდნენ ხოლმე დამცინავი ჟარგონული სიტყვით – „ფლამენკო“.

სხვა ცნობით, ფლამენკო გამოხატავს ამ ცეკვის ცეცხლოვან ტემპერამენტს და წარმომდგარია ლათინური სიტყვიდან „ფლამა“, რაც ცეცხლს ნიშნავს და კიდევ ერთი ვერსია, რომელიც ასევე სარწმუნოა. ფლამენკოს შემსრულებლებს აქვთ მოქნილი ტანი და გრძელი კიდურები, რითაც ისინი გვაგონებენ გრძელფეხა ფრინველს – ფლამინგოს.

ასე თუ ისე, ფლამენკო ესპანური, კერძოდ, ანდალუზიური ხალხური მუსიკალური შემოქმედების ერთ-ერთი ჟანრია. იგი გამოხატავს ესპანელი ხალხის იმპროვიზაციულ ნიჭს, ექსტაზამდე მისულ ემოციურობას, დინამიზმისა და რიტმის გამახვილებულ გრძნობას, რომელიც გამსჭვალულია კონტრასტებითა და გულშიჩამწვდომი მშლოდიურობით. სიტყვა „ფლამენკო“ და „ხიტანო“ (ბოშური) ანდალუზიის სინონიმებია.

ფლამენკო, გიტარის მკაცრი თანხლების ფონზე სრულდება. უაღრესად ფართოა მისი ემოციური დიაპაზონი – თავშეკავებული ქვითინიდან ამაღლებული გრძნობების აფექტაციამდე. რთულია ფლამენკოს ფორმა და სტილი, რომელიც საკმაოდ მკაცრ, რიტმულ, მელოდიურ და ჰარმონიულ კანონზომიერებას ეყრდნობა. ვარაუდობენ, რომ ფლამენკოზე ზეგავლენა მოახდინა ესპანეთში მცხოვრები ყველა ხალხის მუსიკალურმა ტრადიციებმა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია არაბული კულტურის ზეგავლენა; არაბები ხომ დიდი ხნის მანძილზე ბატონობდნენ მათ მიერ დაპყრობილ თითქმის მთელ პირინეის ნახევარკუნძულზე, საიდანაც დასაბამს იღებს ე.წ. მავრიტანული კულტურა, რომლის ელემენტებმა გამოსახულება ჰპოვეს არა მარტო ხუროთმოძღვრებაში, არამედ მუსიკაშიც. მაგალითად, გრანადაში დაცულ მავრიტანულ სიმღერათა შორის აღსანიშნავია ვარიანტები „სამბრას“ თემებზე („სამბრა“ არაბული სიტყვაა და სიმღერის სახელწოდებას წარმოადგენს). მათ ისეთივე თვითმყოფადი სტილი აქვთ, როგორიც ფლამენკოს და ბოლოს, მთელ ანდალუზიურ მუსიკალურ ხელოვნებაზე, კერძოდ კი ფლამენკოზე, უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს ცეკვებითა და სიმღერებით განთქმულმა ესპანელმა ბოშებმა. ხუთი საუკუნის განმავლობაში ესპანეთში მცხოვრები ბოშების განუწყვეტელმა დუხჭირმა ცხოვრებამ მე-18 საუკუნეში თავისებური ასახვა ჰპოვა ფლამენკოს მუსიკაში, რომლის ისტორია თავისი საწყისებით იკარგება ანდალუზიის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებში და წარმოადგენს ადამიანის აზროვნებისა და გენიის ერთ-ერთ ულამაზეს ქმნილებას.

მუსიკალური ფოლკლორის მკვლევარნი სავსებით საფუძვლიანად მიუთითებენ იმ როლზე, რომელიც ბოშებმა ევროპის მუსიკალურ ცხოვრებაში შეასრულეს. მათ მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინეს რუსეთის, უნგრეთის, სლოვაკეთის, რუმინეთისა და სხვათა მუსიკალურ ფოლკლორზე. მაგალითად, ბოშების „წყალობით“, უნგრულ და სლოვაკურ მუსიკალურ კულტურაში წარმოიქმნა ისეთი ფართო პოპულარობის მქონე მუსიკალური სტილი, როგორიც იყო „ვერბუნკოში“ და „ჩარდაში“, რომლებმაც თავის მხრივ უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს კლასიკური ოპერეტების ჟანრზე. დიდი როლი ითამაშეს რუსულ რომანსზე რუმინეთისა და მოლდავეთის სახალხო მომღერლებმა, რომელთა უმრავლესობა ბოშები იყვნენ და თავიანთი ქვეყნის მსიკალური კულტურა გაამდიდრეს ორიგინალური თვითმყოფადი მელოდიებით. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ

1780 წელს პირველი დოკუმენტური ცნობა კანტე-ფლამენკოს შესახებ დაკავშირებულია ჩვენამდე მოღწეული „კანტაორის“ (ფლამენკოს შემსრულებელი) ბოშა-ელდელა ხულინას სახელთან, მაგრამ ფლამენკოს ძირი, მისი საფუძველი ესპანური-ა. არაბებმა, ებრაელებმა და ბოშებმა ზეგავლენა მოახდინეს მხოლოდ მის იერზე და არა სტილსა და სტრუქტურაზე, ამ თვალსაზრისით საყურადღებოა დიდი უნგრელი კომპოზიტორისა და ფოლკლორისტის ბელა ბარტოკის აზრი: „ბოშები ახდენენ ადგილობრივი მუსიკის ინტონირებას, ე.ი. ისინი ქმნიან ფოლკლორს ადგილობრივი ხალხური მუსიკის საფუძველზე დაყრდნობით“. აქედან გამომდინარე, ფლამენკო დაედო საფუძვლად ესპანელი ბოშების შემოქმედებას და არა პირიქით. პარიზში გამოქვეყნებულ წიგნში: „ფლამენკოს სიმღერების ანთოლოგია“ ნათქვამია: „ჭეშმარიტი ანდალუზიური ხალხური სიმღერები წარმოადგენენ გულის სიღრმიდან ამოხეთქილ სევდისა და მწუხარების გამომხატველ ნაღვლიან მელოდიებს, რომლებშიც მიმალულია დაუსრულებელი პოეტური შესაძლებლობები“.

ბუნებრივია, რომ სწორედ ანდალუზიაში, რომელიც ესპანეთის ოლქებიდან ყველაზე ბოლოს განთავისუფლდა არაბეთის ბატონობისაგან, შემორჩა განსაკუთრებული, აშკარა ორიენტალური ელემენტები, რაშიც დიდი წვლილი შეიტანეს ესპანელმა ბოშებმაც. ისინი ესპანეთის სხვა ადგილებშიც ცხოვრობდნენ, მაგრამ სწორედ სამხრეთის ეს პროვინცია გახდა მათი საყვარელი თავშესაფარი და ახლაც, მთელმა უბნებმა შეინარჩუნეს ბოშური სული.

მე-19 საუკუნისათვის ანდალუზიელი ბოშების ფლამენკოს ხელოვნებამ მიაღწია ვოკალის, გიტარის აკომპანემენტისა და პლასტიკის ჰარმონიულ განვითარებას, სიტყვის, მუსიკისა და ცეკვის შერწყმით შეიქმნა ერთიანი გამომსახველობითი ფორმა. ფლამენკოს მუსიკა მე-20 საუკუნემდე ისმოდა მხოლოდ ქუჩებში, სარდაფებში, ოჯახურ დღესასწაულებზე და ა.შ. ან ღია ცის ქვეშ, სადაც ახალგაზრდობა იკრიბებოდა სამღერლად – საცეკვაოდ, ხოლო მოხუცები ყოველივე ამის სანახავად.

ფლამენკო სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის მუსიკას (სიმღერა, ცეკვა, გიტარა) აერთიანებს. ყოველ ფორმას თავისი სახელწოდება აქვს, რომელიც წარმომდგარია ან იმ ადგილიდან, სადაც იგი დაიბადა, ან ტექსტუალური შინაარსიდან. ზოგჯერ მას გამოჩენილი შემსრულებლის გვარით იხსენიებენ.

ფლამენკოს ფორმებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სევდიანი და სენტიმენტალური „მალაგენია“ (მალაგაში შექმნილი სიმღერა). როგორც ქართველი მაცხოვრებლები აღნიშნავენ, „მალაგენია“ ქვითინს უფრო წააგავს, ვიდრე სიმღერას. „მალაგენიას“ მრავალი ვარიანტი და სახესხვაობა არსებობს. ამბობენ, რომ „მალაგენია“ იმდენია, რამდენიც შემსრულებელი, მაგრამ მალაგენიას ყველაზე სახელგანთქმული და ცნობილი შემსრულებელი იყო ხუან ბრევა. „მალაგენიას“ (MALAGUENA) ფლამენკოს მეფეს უწოდებენ.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება „ფანდანგოს“, რომელიც ფლამენკოს უძველეს ფორმად ითვლება. აღსანიშნავია აგრეთვე სხვა სახეები: „პეტენერა“ – მალაგენიას ვარიაცია, ცნობილი მომღერლის პეტენერას სახელს ატარებს: „სოლეარესი“ – წარმოდგება სიტყვიდან „სიმარტოვე“; „ფარუკა“ – გმირულია; „ტარანტა“ – მაღაროელთა; „საპატეადო“ – („საპადო“ – მაღალქუსლიანი ფეხმაცმელი) ქუსლებით ცეკვაა და ა.შ.

ფლამენკოს სიმღერები და ცეკვები, მიუხედავად სხვადასხვა ფორმებისა, მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს ცოცხალი რიტმებით, მხურვალე ემოციურობით, მელოდიური სტრუქტურით, იმპროვიზაციულობით, ქრომატიზმებითა და ეროვნული მუსიკალური სტილის სხვა ნიშნებით. ფლამენკოსათვის დამახასიათებელია შეძახილი „ოლე“, რომელიც მასტიმულირებელ და მაორგანიზებელ როლს ასრულებს. იგი მსმენელის აღტაცებას, მოწონებასა და გამხნევებას გამოხატავს (მსგავსი მაგალითები გვხვდება ბალყარეთის ნახევარკუნძულსა და კავკასიის მკვლევართა ფოლკლორშიც).

თავისებურია ფლამენკოს ხალხური შესრულების წესიც. მას იწყებს გიტარისტი, მის გარშემო უმალ იკვრება წრე, გიტარისტს უახლოვდება მომღერალი. ჩამოწოლილ სიჩუმეს არღვევს გაბმული მინორული აკორდები... ასე იწყება გულში ჩამწვდომი სევდიანი სიმღერა, რომელსაც შემდეგ მოცეკვავე აგრძელებს. მერე ისევ სიმღერა სრულდება, ბოლოს კი ჰარმონიულ ანსამბლში ერთიანდებიან – მომღერალი, მოცეკვავე და გიტარისტი. დროდადრო ჩაერთვის ტაშის რიტმული ცეკვა და შეძახილები „ოლე“, რაც უკვე მაყურებლის მონაწილეობას გულისხმობს ამ სტიქიურ წარმოდგენაში. იგი ამხნევებს და აღაგზნებს შემსრულებელს.

გიტარაზე ფლამენკოს სტილით დაკვრაში ესპანელ და განსაკუთრებით კი

ანდალუზიელ გიტარისტებს დღეისათვის ბადალი არ ჰყავთ და ეს არც არის გასაკვირი, რადგან, როგორც ვიცით, ფლამენკო ესპანურ სალხურ მუსიკალურ ფოლკლორზეა დაფუძნებული, იგი აგებულია რიტმულ მომენტებზე. რიტმის ერთხმოვანი მელოდიით იცვლება და მელიზმატიკის ხშირი სიუხვით სასიათდება, განსაკუთრებით იმპოვიზაციის დროს (გიტარისტი მარჯვენა ხელის სიმებზე დარტყმით გამოხატავს ამა თუ იმ რიტმს). ფლამენკო, მუსიკოსს იმპროვიზაციის საშუალებას აძლევს. ამას განაპირობებს ფლამენკოს საცეკვაო რიტმებისა და მოძრაობების მრავალფეროვნება, რაც მელოდიური და აკორდული განვითარების შესაძლებლობებს იძლევა, მუსიკალური ნაწარმოებები სრულდება განწყობილების მიხედვით. ძირითადი ადგილი რიტმს და მასში ჩაქსოვილ ფრაზებს – ფალსეცებს ეთმობა. მელოდიის მონაკვეთი სრულდება ახალი ფალსეცის დაწყებამდე და ა.შ. ასეთია ფლამენკოს სრტუქტურა, კარგად ჩანს შემსრულებელთა თითოეული მოძრაობა, ჰარმონია. მუსიკოსები ადვილად უგებენ ერთმანეთს, არ არის აუცილებელი ნაწარმოების წინასწარ დაპროგრამება.

ფლამენკოს შესრულება თითქმის პრაქტიკულია, ზეპირი და ერთი თაობის მუსიკოსებიდან მეორეს გადაეცემა. იგი არ გახლავთ ფურცლიდან კითხვის ხელოვნება, ვინაიდან ფლამენკოს უკიდეგანო იმპროვიზაცია და უმდიდრესი ფანტაზია ვერცერთ სანოტო ჩარჩოში ვერ ჯდება. მიუხედავად მუსიკალური განათლების არქონისა, ჭეშმარიტი ფლამენკისტები დაჯილდოებულნი არიან ფენომენალური მუსიკალური სმენითა და ტექნიკით, განსაცვიფრებელი მახსოვრობითა და შთამაგონებული ძალით და რათქმაუნდა ღვთისაგან ბოძებული „მარჯვენით“ (მარჯვენა ხელით დაკვრის ტექნიკას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფლამენკოში)*, რომლის საშუალებითაც ფლამენკისტები ხშირ შემთხვევაში ჩრდილავენ „კლასიკოსთა“ საშემსრულებლო ხელოვნებას.

რამდენადაც სასიამოვნო და ეფექტურია ფლამენკოს მუსიკა, იმდენად რთული და ძნელად მისაღწევია მისი პროფესიონალურ დონეზე შესრულება. პირველ რიგში იგი შემსრულებლისაგან დიდ მუსიკალურ ნიჭსა და ბუნებრივ მონაცემებს მოითხოვს, შემდეგ კი უდიდეს ნებისყოფასა და შრომისმოყვარეობას (პროფესიონალი ფლამენკისტები დღეში საშუალოდ 8-10 საათს მეცადინეობენ).

---

* ფლამენკოს სპეციფიკური ილეთები მარჯვენა ხელისათვის იხილეთ წიგნში: „სკოლა-თვითმასწავლებელი გიტარისათვის“ გ. თუშიშვილი, „განათლება“, თბ., 2003.

როგორც აღვნიშნეთ, ფლამენკო რთულ ისტორიულ პირობებში ვითარდებოდა, დროთა განმავლობაში მან გარკვეული სახეცვლილება განიცადა და უკვე მე-20 საუკუნის 40-იან წლებში საკმაოდ ჩამოყალიბებული სახით მოგვევლინა. ამ პერიოდში იგი უკვე საკონცერტო ესტრადაზეც ჩნდება. ფლამენკოს ეპოქამ სასელგანთქმულ შემსრულებელთა მთელი პლეადა წარმოაჩინა.

პროფესიონალ ფლამენკისტებში თვალსაჩინო ფიგურად ითვლება წარსულში ცნობილი გიტარისტების – მიგელ ლობეტისა და ფლამენკისტ კანიტოს მოსწავლე, გამოჩენილი ვირტუოზი, ესპანელი ბოშა-რამონ მანტოია (1880-1949). მან ფლამენკო გაამდიდრა ახალი რიტმებითა და ჰარმონიებით, მრავალი ტექნიკური ილეთი შემატა მას.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მუსიკოსებისა, ცნობილი ფლამენკისტები იყვნენ: მალაგენიას ავტორი – პაკისი, პაკო და ელ მელიტო, მოგვიანებით, – აბაკელა, ბენურენო, ნიანტესი, ელ.როსარიო, პ.კენკა, რ.გარსია, დე კასტრო, მ.კერვასი და სხვ. თანამედროვეებიდან უნდა აღინიშნოს: მარიო ესკუდერო (რ.მანტოიას მოსწავლე), ალფონსო გარსია ალონსო, რომელმაც 1973 წელს თბილისშიც დაუკრა, მანუელ კანო, რომელიც 1970 წელს ერთხმად აღიარეს ესპანეთის საუკეთესო გიტარისტად და ბოლოს, საქვეყნოდ ცნობილი და პოპულარული, ფლამენკოსა და ჯაზ-როკის უბადლო ოსტატი პაკო დე ლუსია. იგი დაიბადა 1947 წელს კადისში (სამხრეთი ესპანეთი), გიტარაზე დაკვრა მამამ შეასწავლა, უკვე ექვსი წლის პაკო ფართო აუდიტორიის წინაშე წარსდგა ურთულესი იმპროვიზაციებით, თერთმეტი წლისა, მამასთან და ძმასთან ერთად გამოდიოდა სცენაზე. ცამეტი წლისას კი კონცერტებით უკვე შემოვლილი ჰქონდა ევროპისა და ამერიკის ქვეყნები, გამოსული იყო მისი სამი ფირფიტა საკუთარი ორანჟირებით, ამერიკულმა ჟურნალმა „გიტარისტმა“ პაკო დე ლუსია ფლამენკოს სტილის შემსრულებელთა შორის საუკეთესოდ აღიარა. იგი გამოდიოდა ამერიკელ გიტარისტ ალდა მეოლასთან, ინგლისელ ჯონ მაკლაფლინთან, სახელგანთქმულ კარლოს სანტანასთან და სხვებთან. პაკო დე ლუსიასა და ჯონ მაკლაფლინის დუეტის შესახებ ამერიკული ჟურნალი „სეთერდეი რევიუსი“ წერდა: „პაკო და ჯონი, – ეს ამაღლებული, საოცარი ძალისა და გულის სიღრმიდან გამოსული რთული გრძნობების ხორცშესხმაა სიმების საშუალებით“, ხოლო „სანფრანცისკო ქრონიკლი“ მათ დუეტს „მუსიკალურ საოცრებას“ უწოდებდა, პაკო დე ლუსიამ

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ათასობით მსმენელი მოხიბლა შეუდარებელი მუსიკალობითა და არტისტიზმით, დიდი ემოციურობითა და დახვეწილი ტექნიკით სიდარბაისლითა და მოკრძალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლამენკოს ხელოვნებას არაერთი ლექსი, ფერწერული ტილო თუ ნაშრომი მიუძღვნეს სხვადასხვა ეპოქის გამოჩენილმა პოეტებმა, მხატვრებმა, მწერლებმა თუ მუსიკოსებმა. ესპანელი კომპოზიტორები დღენიადაგ დიდი გულმოდგინებითა და სიყვარულით ამუშავებდნენ მშობლიურ ხალხურ მუსიკას, ანდალუზიურ მელოდიებს. ამ თვალსაზრისით დიდია ესპანეთის აღორძინების პერიოდის ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორის მანუელ დე ფალიას (1876-1946) ღვაწლი. მიუხედვად იმისა, რომ მან გიტარისათვის მხოლოდ ერთი ნაწარმოები („ჰაბანერა") შექმნა, მთელი მისი შემოქმედება დაკავშირებული იყო ამ საკრავთან, თავის ოპერაში „ხანმოკლე სიცოცხლე" დე ფალიას გამოჰყავს სახალხო მომღერალი გიტარის თანხლებით. ბალეტ „ჯადოქრის სიყვარულში" ორკესტრირების დროს და სიმფონიურ სუიტაში „საღამოები ესპანეთის ბაღებში" კომპოზიტორი ოსტატურად წარმოსახავს გიტარის ჰარმონიულ ეფექტებსა და ფერთა პალიტრას.

შესანიშნავად ფლობდა გიტარას (ფლამენკოს სტილს) ანდალუზიური მუსიკის ჩინებულად მცოდნე, ცნობილი ესპანელი პოეტი ფედერიგო გარსია ლორკა, რომელზეც გალაკტიონი წერდა:

...ვინც ესპანეთი სასიცოცხლო
ვარდებით მოხატა,
დიდი პოეტი, ფედერიგო
გარსია ლოხა,
ვინც უანგარიშო სალხს შესწირა
მგზნებარე ქნარი,
ის მოკლეს, მაგრამ ის არასდროს
არ არის მკვდარი!

გარსია ლორკას ბოშურმა მუსიკამ შთააგონა შექმნა თავისი უკვდავი შედევრები: „ბოშური რომანსერო" და „ლექსები კანტე ხონდოზე", რომელიც შესულია არა მარტო ესპანეთის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში. გიტარა ლორკას პოეზიის განუყრელი თანამგზავრი იყო მუდამ: „გიტარა იწყებს

მწუხარე ქვითინს იმსხვევა დილა, გიტარა მღერის...“ იგი გიტარას ადარებს გულს, რომელსაც სერავენ „ჯალათები“ ანუ თითები, განსაკუთრებით შთამბეჭდავია სტროფები: „როცა მოვკვდები გიტარით ხელში მდინარის პირას მე მიმაბარეთ, როცა მოვკვდები ფორთოხლებს შორის, ყოველ ყვავილში ვპოვებ სამარეს...“, სადაც პოეტი თითქოს გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას (იგი ფაშისტებმა მოკლეს 1936 წელს 38 წლის ასაკში). ლორკას კალამს ეკუთვნის აგრეთვე ლექსი „გამოცანა გიტარაზე“, რომელიც თავის მეგობარს, ცნობილ გიტარისტს – საინს დე ლა მასას მიუძღვნა და სხვ.

დე ფალიას დიდად აღელვებდა მშობლიური მუსიკის ბედი. ფლამენკო საუკუნეების განმავლობაში ხალხის მეხსიერებაში ცოცხლობდა და დროთა განმავლობაში დავიწყებას რომ არ მისცემოდა, ამ კულტურის გადარჩენისა და მისი პოპულარიზაციის მიზნით კომპოზიტორმა 1922 წელს გრანადაში ფლამენკოსა და კანტე ხონდოს პირველი კონკურსი მოაწყო, რაშიც მას აქტიურად ამოუდგნენ მხარში გარსია ლორკა და „გიტარის ღმერთად“ წოდებული ესპანელი მუსიკოსი ანდრეს სეგოვია.

დღეისათვის ფლამენკო დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელს მსოფლიოში. მას ხშირად ვხვდებით მუსიკის ფორუმებზე, კონკურს-ფესტივალებზე და ა.შ.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ ფლამენკო არ გახლავთ ნოტებში „ჩაკეტილი“ ხელოვნება, გარკვეული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ესპანური კულტურის ამ უმშვენიერეს ფენომენზე, წინამდებარე კრებულში გთავაზობთ ფლამენკოს ნაირსახეობის რამდენიმე სანოტო ნიმუშს და შემდეგ კი „განუმეორებელი“ პაკო დე ლუსიას კომპოზიციებს.

გივი თუშიშვილი

MALAGUENA*

ეროვნული ბიბლიოთეკა



* ქართული თარგმანები იხ. სარჩევში.

ZAMBRA



FANDANGO


Allegretto
mf
R
p
f
mf
p m i
TAMBORA
T
A
TIMBAL
mâ mâ i mâ mâ i mâ mâ i mâ
p m p p m p
p i m p i m
cresc.
sf

PETENERA



SOLEARES

ეროვნული
ბიბლიოთეკა



FARRUCA



TARANTAS



M72052
3

ZAPATEADO

ეროვნული
ბიბლიოთეკა



PACO DE LUCIA
პაკო დე ლუსია

(კომპოზიციები)



ესპრომტი

აღფაცებას ვერ ვმალავ,
მსურს დღედაღამ გაქო;
გიფარის ჯადოქარო,
საოცარო პაკო!
სულ მინდა რომ გისმინო,
სულ მინდა რომ გნახო,
სოფნების ზეიმო,
და თლამენკოს „ბასო“
ბარაქალა თქვენს ჰანგებს,
ესპანელო სალსო!

გიგი თუმშიშვილი

AIRES DE LINARES








C.V

GENERALIFE BAJO LA LUNA




1.
2.





MI INSPIRACION

ეროვნული ბიბლიოთეკა






1.
2.

EL TEMPUL

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Tpo. de Bulerias





ეროვნული
ბიბლიოთეკა


C.V----


C.V
1.
2.
C.V

FIESTA EN MOGUER





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. გ. თუშიშვილი, ფლამენკო. ქ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1980.
2. გ. თუშიშვილი, „მუსიკალური ლიტერატურა“, გამ. „განათლება“, 1988.
3. გ. თუშიშვილი, გიტარის სამყაროში, გამ. „ხელოვნება“, 1989.
4. გ. თუშიშვილი, ვარდებით სავსე სცენა (პაკო დე ლუსია), გაზ. „ახკომი“, 1982.
5. ფედერიგო გარსია ლორკა, რჩეული, თარგმანი ნანა ხატისკაცის, „ხელოვნება“, 1963.
6. ალფონსო პლუიგ კლარამუნტი, ფლამენკოს ცეკვის ხელოვნება, 1984.
7. ა. ტოროპოვი, გიტარა-ფლამენკო, ფანტაზია-ფლამენკო, 1996.

Contens

სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

Prefacie

წინასიტყვაობა 3

MALAGUENA

მალაგენია 11

ZAMBRA

სამბრა 12

FANDANGO

ფანდანგო 13

PETENERA

პეტენერა 14

SOLEARES

სოლეარესი 15

FARRUCA

ფარუკა 16

TARANTAS

ტარანტა 17

ZAPATEADO

საპატეადო 18

PACO DE LUCIA

პაკო დე ლუსია 19

AIRES DE LINARES

ლინარესის ჰაერი 20

GENERALIFE BAJO LA LUNA

სავსე მთვარის ქვეშ 24

MI INSPIRACION

ჩემი შთაგონება 28

EL TEMPUL

სწრაფად 31

FIESTA EN MOGUER

მოგუერის გეიმი 35

LITERATURA

ლიტერატურა 39

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს მუსიკალური ფონდის
ნოტის საბეჭდ საამქროში

თბილისი ალ ყაზბეგის 20ა

PRINTED AT PUBLISHING HOUSE OF GEORGIAN
MUSICAL FUND

TbILISI A.KAZBEGI 20A

ეროვნული ბიბლიოთეკა